ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №114

2024 წლის 26 იანვარი

ქ. რუსთავი

,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ " ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/09/2014, 010250040.35.160.016230) და პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,კ" პუნქტი:

,,კ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, უზრუნველყოფს საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ნოდარი შეროზია**